საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 107-02
05/02/2021

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში განათლების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ"
რექტორის 2021 წლის 4 თებერვლის N95-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

რექტორის 2021 წლის 4 თებერვლის N95-02 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში ვაკანტური მიმართულება სრულად არ არის მითითებული. ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,, ა " ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის სასაფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის დ.ჯაფარიძის 2021 წლის 1 თებერვლის N624-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 თებერვლის N1 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2021 წლის 4 თებერვლის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში განათლების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ " N95-02 ბრძანების სათაურსა და პირველი პუნქტში და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სათაური:

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში განათლების მეცნიერებების მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ" .

პირველი პუნქტი:

1.**2021 წლის 1 მარტიდან** გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლაში განათლების მეცნიერებების მიმართულებით პროფესორის 3 საშტატო ერთეულზე."**

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი